საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

2017 წლის წლიური ანგარიში პროგრამების შესახებ

1. **სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა**

<u>**თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**</u>

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი[1] <u>**საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება**</u>

განმახორციელებელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტი

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 01	**საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება**	506 610,00	523 049,99	522 081,58	99,8%	

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტში წარდგენილი და პარლამენტის მიერ დამტკიცებულ იქნა „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონისა და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი;

2017 წლის 1 ნოემბრიდან ძალაში შევიდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ცვლილება, რომლის საფუძველზეც ამოქმედდა ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებული სამართალდარღვევისთვის ჯარიმების აღსრულების ახალი წესი, კერძოდ, ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით საფოსტო გზავნილის გაგზავნამდე სამართალდამრღვევს ჯარიმის შესახებ ეგზავნება ინფორმაცია მოკლე ტექსტური შეტყობინების, ან აპლიკაციის საშუალებით;

,,საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესახებ მოაქალაქეთა ინფორმირების მიზნით, მომზადდა 4 საინფორმაციო ვიდეორგოლი (ქულათა სისტემა, უკონტაქტო პატრულირება, ვიდეოჯარიმების აღსრულების ახალი წესი, შსს-ს ტექნოლოგიური

[1] ივსება იმდენ პროგრამაზე, რამდენ პროგრამასაც მოიცავს მხარჯავი დაწესებულების ბიუჯეტი წლიური ბიუჯეტის კანონით.

სიახლეები ე.წ. „ჭკვიანი კამერების“ ამოქმედება), რომლებიც 20 ივნისიდან განთავსდა ტელევიზიებში („იმედი“, „ჯიდიეს“, „მაესტრო“ და „საზოგადოებრივ მაუწყებელი“), სოციალურ მედიასა და რადიო სივრცეში;

„საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირების მიზნით დამზადდა 200 000 ცალი საინფორმაციო ბუკლეტი და კანონის ამოქმედებამდე, პატრულ-ინსპექტორების მიერ მთელი ქვეყნის მასშტაბით დაურიგდა მძღოლებს;

საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის, დანაშაულის პრევენციისა და მასზე რეაგირების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, პროექტის „უსაფრთხო ქალაქი, უსაფრთხო რეგიონი, უსაფრთხო ქვეყნის" ფარგლებში, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან ერთად, შეისყიდა 1 300 ნომრის ამომცნობი ვიდეოკამერა (მ.შ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ 100 კამერა);

საანგარიშო პერიოდში სამინისტროს ერთობლივი ოპერაციების ცენტრში დაინერგა:

- NEC სახის ამოცნობის ანალიტიკური პროგრამა და შეძენილი იქნა პროგრამის 400 ლიცენზია;
- ISS სახელმწიფო ნომრის ამომცნობი პროგრამა (ANPR);
- პროგრამული უზრუნველყოფის მიზნით სამინისტრომ შეიძინა 1 800 ლიცენზია ANPR.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პროექტის „უსაფრთხო ქალაქი, უსაფრთხო რეგიონი, უსაფრთხო ქვეყანა“ ფარგლებში, დანაშაულის და საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის ეფექტური პრევენციის, ასევე ავტო-საგზაო შემთხვევების დროს დაშავებულთა რაოდენობის შემცირების მიზნით, 2017 წლის 1 ნოემბრიდან, ავტომატიზებულ რეჟიმში ამოქმედდა „ჭკვიანი“ ვიდეოკამერების სისტემა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა ავტომატურად დააფიქსიროს 5 სხვადასხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. ასევე, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე უკვე მოეწყო 11 საშუალო სიჩქარის კონტროლის სექცია, „სექციური რადარების საშუალებით ხდება გზის შესაბამის მონაკვეთზე ავტოსატრანსპორტო საშუალების საშუალო სიჩქარის დადგენა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში პერსონალურ მონაცემთა დაცვის გაუმჯობესების მიზნით საანგრიშო პერიოდში გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შორის "მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის მიზნებისათვის მონაცემთა მოცულობის განსაზღვრის და მიწოდების წესის თაობაზე". აღნიშნული მემორანდუმის შემუშავების უმთავრეს მიზნებს წარმოადგენდა, ინფორმაციის ურთიერთმიმოცვლის გზით, ქვეყანაში არსებული მიგრაციის მონაცემების დამუშავების გაუმჯობესება და სანდო და განახლებული სტატისტიკის წარმოება, მიგრაციული პროცესების მართვის გაუმჯობესება, მიგრაციული ტენდენციების მონიტორინგი და ანალიზი, აგრეთვე, ქვეყნის მიგრაციის პოლიტიკის დახვეწა;

ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს საზოგადოების ინფორმირება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული მიმდინარე საქმიანობისა და სიახლეების შესახებ შსს ვებ-გვერდის, სოციალური ქსელის და ერთჯერადი აქციების საშუალებით;

2017 წლის ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სოციალური კამპანიის „შენი გულისთვის, შენი უსაფრთხოებისთვის“ ფარგლებში მოეწყო იმიტირებული უსაფრთხო ქალაქი - ბათუმში, ახალციხეში, პანკისის ხეობაში და ახმეტაში, სახელწოდებით „ეს ჩემი ქალაქია“;

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც ადგენს დნმ-ის კოდის შეგროვების წესს, დნმ-ის კოდის ნიმუშისა და პროფილის შენახვის ვადებს, დნმ-ის კოდის მონაცემთა გამოთხოვის საფუძვლებს და პირობებს, ინდივიდის პირადი ცხოვრების დაცვის გარანტიებს, დნმ-ის შესახებ საკანონმდებლო პაკეტის შემუშავება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2017 წლის

ეროვნული სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებაა. ამასთან, დწმ ლაბორატორიის შექმნა ნატოსთან თანამშრომლობის ინსტრუმენტით - საქართველოს წლიური ეროვნული პროგრამით არის გათვალისწინებული.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით.

საანგარიშ პერიოდის განმავლობაში განხორციელდა მთელი რიგი სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციებთან როგორც საქართველოში ასევე, საზღვარგარეთ, კერძოდ:

- კიბერ დანაშულის კუთხით ესტონური მხარის გამოცდილების გაზიარების მიზნით, ვიზიტი ესტონეთში, ქ. ტალინში (ვიზიტად იმყოფებოდნენ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები);
- იტალიის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს კარაბინიერთა კორპუსის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში;
- FIEP-ის კომისიის ფარგლებში ვიზიტი ქ. ლისაბონში (შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის წარმომადგენლები);
- "Donauinselfest" ფესტივალის უსაფრთხოების დაგეგმარების თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების ვიზიტი ქ. ვენაში;
- მსხვილმასშტაბიანი მუსიკალური ფესტივალისას (Nature One) საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მიერ ინფორმაციის მიღების მიზნით სასწავლო ვიზიტი გერმანიაში;
- მსხვილმასშტაბიანი მუსიკალური ფესტივალისას (Mysteryland) საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მიერ ინფორმაციის მიღების მიზნით სასწავლო ვიზიტი ნიდერლანდებში;
- იორდანიის ჰაშიმიტური სამეფოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჟანდარმერიის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში;
- მოლდოვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი საქართველოში;
- ბელარუსის რესპუბლიკის საგამოძიებო კომიტეტის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში;
- ავსტრიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ფედერალური სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი საქართველოში;
- ევროპის პოლიციის უფროსების ყოველწლიურ შეხვედრაზე დასწრების მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი ნიდერლანდებში, ქალაქ ჰააგაში, ევროპოლის შტაბ-ბინაში.

საანგარიშო პერიოდში კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა აღკვეთის მიზნით:

- სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთაზე დაკავებულია 53 პირი;
- სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის მცდელობაზე დაკავებულია 92 პირი;
- სასაზღვრო რეჟიმის დარღვევისთვის დაკავებულია 111 მოქალაქე;
- სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მიერ საქართველოს საზღვაო სივრცეში დაფიქსირდა 469 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებული თანხის ოდენობამ შეადგინა დაახლოებით 2 100 000.0 ლარი;
- საქართველოს საზღვაო სივრცის აფხაზეთის ოკუპირებულ მონაკვეთზე გამოვლენილ იქნა „ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის წესების" დარღვევის 64 ფაქტი;
- ჩატარდა სამაშველო ოპერაციები ზღვაზე - გადარჩენილია 32 ადამიანი;
- დახმარება გაეწია - 67 მცურავ საშუალებას;

საანგარიშო პერიოდში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეებს ჩაუტარდათ სასწავლო კურსები, როგორც ქვეყნის შიგნით ასვე ქვეყნის გარეთ;

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რიგი ადმინისტრაციული შენობების მიმდინარე და კაპიტალური სარემონტო სამუშაოები, მათ შორის:

- დასრულდა ქ. ხონში, სოლომონ მეორის ქუჩა N9-ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვნათის პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხულ მიწის ნაკვეთზე ხონის პოლიციის რაიონული სამმართველოს ახალი ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა ქ. ახალქალაქში, აღმაშენებლის ქ.N5-ში მდებარე სამხარეო პოლიციის ტერიტორიაზე სამშენებლო-სარეკონსტრუქციო-სარემონტო და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- დასრულდა ქ. თბილისში გულუს ქ.N10-ში მდებარე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინიტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე გამშვები პუნქტის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები;
- დასრულდა ქ. ბათუმში გრიშაშვილის ქუჩა N17-ში მდებარე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის აჭარის საექსპერტო კრიმინალისტური სამსახურის შენობა-ნაგებობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები;
- დასრულდა ქ. თბილისში, გულუს ქუჩა N10-ში მდებარე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინიტრაციული შენობის მესამე სართულზე სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები;
- დასრულდა ქ. თბილისში, პოლიციის ქ. N10-ში მდებარე შენობა-ნაგებობის სარეკონსტრუქციო-სარემონტო და ახალი ავტოფარეხის სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა ქ. თბილისში პოლიტკოვსკაიას ქუჩა N11ა-ში არსებული სპორტული მოედნის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები, ტერიტორიაზე არსებული ცენტრალური ჭიშკრის სარემონტო სამუშაოები, სათდარიგო შესასვლელი ჭიშკრის მოწყობის სამუშაოები და ქ. თბილისში ქიზიყის ქუჩა N5-ში მდებარე დასაცავ ობიექტებზე სათვალთვალო კოშკურების სარემონტო და გამაგრებითი სამუშაოები;
- დაიწყო და გრძელდება ქ. თბილისში, ი. ცურტაველის ქუჩა N29-ში შსს ადმინისტრაციულ შენობასთან არსებული საკონტროლო გამშვები პუნქტის (57 kvm) მოწყობის, ყაზარმის სარემონტო სამუშაოების და ქ. თბილისში, კ. ჩალაძის ქ. N1-ში მდებარე ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის და ტერიტორიაზე გადახურული ფარდულის მოწყობის სამუშაოები;
- დაიწყო და გრძელდება ქ. ზუგდიდში, სოხუმის ქუჩა N1-ში მდებარე, პოლიციის სამმართველოს შენობის სარემონტო სამუშაოები, ქ. ზუგდიდში, სოფელ ანაკლიაში მდებარე პოლიციის განყოფილების სარემონტო სამუშაოები, ქ. ზუგდიდში, ბერანძის ქუჩა N9-ში მდებარე გდდ-ს ტერიტორიაზე ავტოფარეხის სამშნებლო სამუშაოები და ქ. ზუგდიდში, თამარ მეფის ქუჩა N146-ში მდებარე, პოლიციის განყოფილების სარემონტო სამუშაოები;
- დაიწყო და გრძელდება ქ. ზუგდიდში, გორის ქუჩა N3-ში მდებარე, შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში სარემონტო სამუშაოები;
- დასრულდა ყაზბეგის რაიონის სოფელ გუდაურში მდებარე შსს ადმინისტრააციულ შენობაში, ქ. დუშეთში რუსთაველის ქუჩა N62-ში მდებარე შსს მცხეთა - მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის დუშეთის რაიონული სამმართველოს შენობაში, დაბა თიანეთში რუსთველის ქუჩა N7-ში მდებარე შსს მცხეთა - მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თიანეთის რაიონული სამმართველოს შენობაში და დაბა

სტეფანწმინდაში ალ. ყაზბეგის ქუჩა N5-ში მდებარე შსს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის ყაზბეგის რაიონული სამმართველოს შენობაში სარემონტო სამუშაოები;

- დასრულდა ქ. რუსთავში, ფიროსმანის ქუჩა N15-ში მდებარე შსს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის, ქვემო ქართლის რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორის შესასვლელის კედლის მოწყობის და ჭიშკრის მოწყობის სამუშაოები;
- დასრულდა ქ. თბილისში, ქიზიყის ქ. №5-ში შსს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის II სამმართველოს I განყოფილების I ქვეგანყოფილების დასაცავ ტერიტორიაზე ოთხი ერთეული სათვალთვალო კოშკურა მოწყობის სამუშაოები;
- დასრულდა დუშეთის რაიონში სოფ. ოძისში მდებარე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალგორის რაიონული სამმართველოს საოკუპაციო საზღვრის გამტარ პუნქტზე სველი წერტილის მოწყობის და სასადილოს სარემონტო სამუშაოები, ქ. გორში, მშვიდობის ქ. N2-ში მდებარე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში სარემონტო სამუშაოები და ქ. გორში, სუხიშვილის ქ. N2-ში მდებარე შსს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში სარემონტო და შენობის ცენტრალური შესასვლელი კიბის მოპირკეთების სამუშაოები;
- დაიწყო და გრძელდება ქ. თბილისში, ნოე რამიშვილის ქ.N38-ში მდებარე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიაზე სპორტული მოედნის სარემონტო სამუშაოები;
- დაიწყო და გრძელდება ქ. თბილისში, ქიზიყის ქ. N5-ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის შეიარაღების სამმართველოს სახელოსნო-საწყობის სარემონტო სამუშაოები;
- დაიწყო და გრძელდება ქ. თბილისში, გულუას ქუჩა N6-სა და N8-ს შორის მდებარე შსს ბალანსზე რიცხულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოების მეორე ფაზა - რკინა-ბეტონის კარკასის დასრულების სამშენებლო სამუშაოები და ავტოსადგომის სამშენებლო-სარემონტო სამუშოაები;
- დასრულდა N2 სამმართველოს (ახალციხე)N2 სასაზღვრო სექტორის „ვალეს", N3 სასაზღვრო სექტორის (ჭარალი) მშენებლობა, N5 სამმართველოს (ლაგოდეხი) N7 სასაზღვრო სექტორის (ომალო) ბლოკ პოსტ "დიკლო"-ს სველი წერტილის მშენებლობა, სექტორი ვალეს კაპიტალური რემონტი;
- BOMS-ის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ვალე - კარწახი, სარფი-კირნათის სასაზღვრო სექტორების და მილარი, ფიროსმანი, საბათლო, სულდას სასაზღვრო სექტორების ელექტროფიცირება;
- დასრულდა სასაზღვრო სექტორებზე ახალსოფელი, სადახლოს გაზიფიცირება;
- დასრულდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის დროებითი მოთავსების იზოლატორებში სავენტილაციო სისტემების მოწყობის სამუშაოები;
- დასრულდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტში შემავალ დანაყოფებში (ატოცი, კნოლევი, დვანი და წაღვლი) საპირფარეშოების სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა სოფ. კარალეთში, ქ. თბილისში, ქ. ზუგდიდში და გარდაბნის რაიონ სოფელ კრწანისში (იალღუჯა) მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს ობიექტებზე სხვადასხვა სახის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები;
- სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა შსს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის გორის, საგარეჯოს, მარნეულის, სიღნაღის, ხაშურის, დუშეთისა და ჭიათურის დროებითი მოთავსების იზოლატორებს;

- სარემონტო სამუშაოები დაიწყო და მიმდინარეობს შსს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის შიდა ქართლისა და სამცხე ჯავახეთის რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორის (სამსახური) (ქ.გორი) ახალქალაქის დროებითი მოთავსების იზოლატორში.
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის დროებითი მოთავსების იზოლატორებში განხორციელდა სავენტილაციო სისტემების სამუშაოები;

2013 წელს მინისტრის გადაწყვეტილებით დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს სამინისტროს თანამშრომლებზე ერთჯერადი დახმარებების გაცემა ოჯახის წევრის გარდაცვალების (მეუღლე, შვილი, დედა, მამა), დაქორწინებისა და შვილის შეძენის შემთხვევაში; ასევე სამინისტროს იმ თანამშრომლებზე, ვისაც ჰყავს ოთხი და მეტი შვილი ხორციელდება მინისტრის მიერ დაწესებული შესაბამისი დანამატების გაცემა;

განახლდა სამინისტროს მატერიალურ ტექნიკური ბაზა;

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- ამაღლებული საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების დონე;
- მინიმუმამდე შემცირებული ავტოსატრანსპორტო შემთხვევები;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის შესახებ საზოგადოების ამაღლებული ცნობიერება
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობაში საზოგადოების აქტიური ჩართულობა;
- სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში და საქართველოს საზღვაო სივრცეში შემცირებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებები;
- უზრუნველყოფილი ნაოსნობის უსაფრთხოება, სრულყოფილად დაცული ნაოსნობის წესები;
- სამაშველო ოპერაციების განხორციელების გაუმჯობესებული შესაძლებლობები;
- განახლებული მატერიალურ ტექნიკური ბაზა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

საზოგადოებრივი წესრიგის და მოქალაქეთა უსაფრთხოების დონის ამაღლების მიზნით სამინისტროს მიერ შეძენილია 100, ხოლო ადგილობრივ მუნიციპალიტეტების მიერ 1 200 საავტომობილო ნომრის ამომცნობი ვიდეოკამერა, აღნიშნული ვიდეკომარების დაინსტალირება ხდება ეტაპობრივად ვინაიდან საჭიროა შესაბამისი ოპტიკურ/ ბოჭკოვანი ქსელის გაყვანა. საანგარიშო პერიოდში დაინსატლირებულია 240 ვიდეოკამერა, დანერგილია საავტომობილო ნომრის ამომცნობი პროგრამა;

ავტოსატრანსპორტო შემთხვევების მინიმუმადე შემცირების მიზნით, შემუშავებული და ამოქმედებული „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის ცვლილებები და ძალაში შესული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, ამოქმედებული „ჭკვიანი" ვიდეოკამერების სისტემა რომელიც აფიქსირებს 5 ტიპის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას;

არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის მიზნით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისთვის 26 საჯარო სკოლაში ჩატარებული საგანმანათლებლო-ინტერაქტიული გაკვეთილები,

საქართველოს 4 სხვადასხვა ქალაქში საგზაო უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების მიზნით მოწყობილი იმიტირებული „უსაფრთხო ქალაქი“,

საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების თაობაზე მომზადებული 4 ვიდეო რგოლი, მომზადებული, დაბეჭდილი და გავრცელებული 200 000 საინფორმაციო ბუკლეტი;

სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონიძიებების შედაგეგად აღკვეთილი საზღვრის უკანონო დარღვევის ფაქტები;

განხორციელებული ღონისძიებების საფუძველზე, სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში და საქართველოს საზღვაო სივრცეში შემცირებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებები;

ნაოსნობის უსაფრთხოების და წესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, გამოვლენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები;

ადამიანების სიცოცხლის გადარჩენის მიზნით, ზღვაზე ჩატარებული სამაშველო ოპერაციები და მცურავი საშუალებებისთვის აღმოჩენილი დახმარება;

სამინისტროს განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. *დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი* - გაზრდილი ავტოსაგზაო შემთხვევების გამო შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო სამართლებრივი ბაზის სრულყოფა, რომლის მიზანია დაიცვას მოქალაქეების სიცოცხლე და უზრუნველყოს ავტოსაგზაო შემთხვევების შემცირება;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - შესაბამისი სამართლებრივი აქტების ამოქმედების შედეგად გაუმჯობესებული საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი -საქართველოს პარლამენტში წარდგენილი და პარლამენტის მიერ დამტკიცებულ იქნა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, 2017 წლის 1 ნოემბრიდან ძალაში შევიდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ვიდეო ჯარიმების აღსრულების ახალი წესი, რომლის თანახმადაც სამართალდამრღვევს, ჯარიმის დაფიქსირებისთანავე, ავტომატურ რეჟიმში ეცნობება დარღვევის შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, ან აპლიკაციის საშუალებით;

2. *დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი* - საზოგადოებრივი ცნობიერების ამღლებისათვის არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის მიზნით 5 საჯარო სკოლაში ჩატარდა საგანმანათლებლო-ინტერაქტიული შეხვედრა.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - რეგიონების მოსახლეობასთან შსს–ს სხვადასხვა მმართველი რგოლის წარმომადგენლების მიერ ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა, საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საანგარიშო პერიოდში მთელი ქვეყნის მასშტაბით 26 საჯარო და კერძო სკოლის, 2000-ზე მეტ მოსწავლესთან გაიმართა საინფორმაციო-ინტერაქტიული გაკვეთილები.

3. *დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი*[2] - სამინისტრო ახორციელებს ეფექტურ საერთაშორისო თანამშრომლობას დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმების, პოლიციის ატაშეების წარგზავნის და ერთობლივი პროგრამების განხორციელების გზით. დღეის მდგომარეობით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 11 ქვეყანაში ყავს წარგზავნილი პოლიციის ატაშე, დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის სფეროში გაფორმებულია 26 ხელშეკრულება;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი[3] - გაფორმებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების რაოდენობა, წარგზავნილი პოლიციის ატაშეების რაოდენობა, პარტნიორ ქვეყნებთან ერთად ერთობლივი პროგრამების ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების (სასწავლო ვიზიტები, ტრეინინგები და სწავლებები) რაოდენობა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საანგარიშო პერიოდში ხელი მოეწერა შეთანხმებებს/მემორანდუმებს შემდეგ ქვეყნებთან: ბელარუსი (საგამომიებო კომიტეტთან გაფორმებული ოქმი), შვედეთი, ევროპოლი, უნგრეთი (ერთობლივი განცხადება), ლიტვა (ლიტვის პოლიციასთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმი), ლატვია (ერთობლივი განცხადება), ლიტვა (ერთობლივი განცხადება), საბერძნეთი, იტალია (კარაბინიერების სამსახურთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმი), ესტონეთი (ერთობლივი განცხადება);

- ოქმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ბელარუსის რესპუბლიკის საგამომიებო კომიტეტის ხელმძღვანელთა სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე განზრახულებების თაობაზე";
- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და შვედეთის სამეფოს მთავრობას შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ";
- ოქმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ლატვიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ლატვიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის სასაზღვრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ" 2009 წლის 8 დეკემბრის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე".
- ერთობლივი განცხადება „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და ესტონეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ" – 2017 წლის 7 ივლისი;
-
- შეთანხმება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ" – ხელმოწერილია ქ. პეკინში 2017 წლის 25 სექტემბერს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
- 2017 წლის 11-14 დეკემბერი: განხორციელდა მოლდოვის რესპუბლიკის შსს-ს პოლიციის მთავარი ინსპექტორატის დელეგაციის სასწავლო ვიზიტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

---

[2] დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორების ნაწილში საბაზისო მაჩვენებელს.

[3] დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორების ნაწილში მიზნობრივ მაჩვენებელს.

მოლდოვას მხარის წარმომადგენლები ესტუმრნენ შსს-ს სხვადასხვა ქვედანაყოფებს, კერძოდ: საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს, გენერალურ ინსპექციას, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს, კვლევისა და განვითარების დეპარტამენტს, სსიპ მომსახურების სააგენტოსა და სსიპ შსს-ს აკადემიას. სტუმრები გაეცნენ ზ/ა ქვედანაყოფების საქმიანობის სპეციფიკასა და ძირითად მიმართულებებს.

-

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - საანგარიშო პერიოდში ვერ განხორციელდა პოლიციის ატაშეს წარგზავნა ევროპოლში ვინაიდნა მეკავშირე ოფიცრის წარგზავნა, არსებული პროცედურების შესაბამისად, საჭიროებს „საქართველოსა და ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის მეკავშირეობის შესახებ“ შეთანხმების არსებობას. ხსენებული შეთანხმება თავისი არსით წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებას. 2017 წლის მდგომარეობით შესაძლებელი იყო აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერა, თუმცა ევროპოლის მხარის მიერ შეფერხდა პროცედურები და მხოლოდ 2018 წლის იანვარში მოხდა შეთანხმების საბოლოო ტექსტის მოწოდება და შესაბამისად 2018 წლის 9 მარტს ხელი მოეწერბა შეთანხმებას, რომელიც ძალაში შევახელმოწერის თანავე და ამის შემდგომ შესაძლებელი იქნება საქართველოს წარმომადგენლის წარგზავნა ევროპოლში.

4. *დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი* - ქვეყნის უსაფრთხოებისთვის აუცილებელია სათანადო რადიოკავშირის საშუალებებით სახელმწიფო საზღვრის სრული დაფარვა. დღეის მდგომარეობით იფარება კონტროლირებადი საზღვრის პერიმეტრის დაახლოებით 99% (1 922 კ/მ). დღეის მდგომარეობით შსს ერთიან კომპიუტერულ ქსელში ჩართულია სასაზღვრო სექტორებისა და საწაპირო დაცვის სადგურების საერთო რაოდენობის 28%. დღეის მდგომარეობით საზღვრის მონაკვეთები აღჭურვილია 55 ცალიმახე-კამერით;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - კავშირგაბულობის არსებული საშუალებების ტექნიკური მომსახურება, რემონტი. კავშირგამბულომის არსებული საშუალებების ელექტრო ენერგიით მუდვივად უზრუნველყოფის მიზნით შეძენილი 15 ცალი (24 ვოლტიანი) აკუმლატორები.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საანგარიშო პერიოდში საჭიროების შესაბამისად განხორციელდა არსებულლი კავშირგაბმულობის საშუალებების უწყვეტი მომსახურება და რემონტი, შეძენილია 15 ცალი (24 ვოლტიანი) აკუმლატორი.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ცდომილების მაჩვენებელი 100%, ვინაიდან 2017 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა „BOMS"-ის პროექტის ფარგლებში სათვალთვალო სისტემების მოწყობაზე და აღნიშნული პროექტის დასრულებამდე არ იყო ცნობილი რამდენი აკუმულატორის შეძენა იქნებოდა საჭირო (თითოეული აკუმულატორის ღირებულება შეადგენს 30 000 ლარს) რაოდენობის გარკვევამდე აღნიშნული აკუმულატორების შესყიდვა შეჩერდა. "BOMS"-ის პროექტით გათვალისწინებული სათვალთვალო სისტემის მოწყობის დასრულების შემდეგ 2018 წელი საჭირო იქნება 15 აკუმულატორის ნაცვლად 10 აკუმულატორის შეძენა.

5. *დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი* - თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე საჭიროა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება დღეის მდგომარეობით თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით გასაახლებელია სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის 70 %;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 5% -ით განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საანგარიშო პერიოდში მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების მიზნით შეძენილია: ლეპტოპი - 34 ცალი, პერსონალური კომპიუტერი - 980 ცალი, უწყვეტი კვების წყარო - 287 ცალი, ვიდეო სამეთვალყურეო სისტემები - 17 ცალი, დიზელ გენერატორი - 52 ცალი, ტრანსფორმატორები - 4 ცალი, 48 პორტიანი ქსელური კომპლექტი - 3 ცალი, 24 პორტიანი ქსელური კომპლექტი - 3 ცალი, 12 პორტიანი ქსელური კომპლექტი - 2 ცალი, ქსელური მარშუტიზატორი - 1 ცალი, რეპიტერი - 2 ცალი, ქსელური გამმართველი - 2 ცალი, როუტერი - 2 ცალი კარვების - 45 ცალი, სერვერი - 2 ცალი, სკანერი - 76 ცალი, GPS მოწყობილობა - 10 ცალი, VOIP ტელეფონები - 245, ვიდეო კამერა - 107 ცალი, კონდენციონერი - 118 ცალი, ალკომეტრი - 90 ცალი, პრინტერი - 157 ცალი, სენდვიჩ-პანელის ჯიხური - 2 ცალი, გაზური ქრომატოგრაფ-მას-სპექტრომეტრი - 1 ცალი, ხმაურმზომი - 30 ცალი, გორგოლაჭინი სავარძელი - 245 ცალი, საოფისე სკამი - 25, კომპიუტერის მაგიდა - 4 ცალი, იარაღის შესანახი კარადა - 15 ცალი, საპრეზენტაციო კარავი - 2 ცალი, მაგიდა - 6 ცალი, კომბინირებული კარადა - 12 ცალი, საავტომობილო ვიდეორეგისტრატორი - 30 ცალი.

1.2 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: ეროვნული საგანძურის, დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საპატრიარქოს დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება - (30 02)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 02	<u>შსს სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტი</u>	10 160	9 611.57	9 481.22	98,6%	112 554.1

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა დიპლომატიური მისიების და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების და ეროვნული საგანძურის ობიექტების დაცვითი მომსახურებით უზრუნველყოფა;

საანგარიშო პერიოდში ობიექტებზე შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევებში ხდებოდა ოპერატიული რეაგირების ჯგუფების გასვლა ასევე მიმდინარეობდა განსაკუთრებული მნიშვნელობის ტვირთების დაცვა-გაცილება და ინკასაცია;

გაუმჯობესდა AES Intellinet ტექნიკური და პროგრამული მომსახურება;

სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა და მომსახურეების მიმღებ ორგანიზაციებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების მართვისა და ანალიტიკური ინფორმაციის წარმოება-დამუშავების მიზნით შეძენილ იქნა ხელშეკრულების მართვისა და ანალიტიკური ინფორმაციის ამოღება-დამუშავების ელექტრონული აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფა;

ბალანსზე რიცხული ავტომანქანები განახლდა 7%-ით;

საანგარიშო პერიოდში გარემონტდა დიპლომატიური მისიების და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა დასაცავი ობიექტების დასაცავად საჭირო 134 ცალი დაცვის საგუშაგო ჯიხური;

საანგარიშო პერიოდში ნაწილობრივ გარემონტდა დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობა, კერძოდ, მე-3 სართულის ოთახები და სანიტარული კვანძები;

მცხეთის რ-ნ, სოფ. ლისში აშენდა მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის, მცხეთის რაიონული სამმართველოს, ლისის განყოფილების ახალი ადმინისტრაციული შენობა;

დეპარტამენტის ეზოში მოეწყო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპული შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მემორიალი;

კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა დეპარტამენტის ბალანსზე რიცხულ ქობულეთის შენობას.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- თანამედროვე და მაღალი ხარისხის დაცვითი სისტემებით აღჭურვილი დასაცავი ობიექტები;
- დასაცავი ობიექტების მომსახურება თანამედროვე ავტოსატრანსპორტო საშუალებებით;
- სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის პირადი შემადგენლობის უზრუნველყოფა თანამედროვე სტანდარტების სამუშაო პირობებით.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- დასაცავა ობიექტები აღჭურვილია თანამედროვე და მაღალი ხარისხის დაცვითი სისტემებით, განხორციელდა დაცვის ქვეშ არსებული ობიექტების პროგრამული უზრუნველყოფა (15 000 აბონენტზე);
- შეძენილი ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა-ინკასირებისათვის 11 ერთეული დაჯავშნილი და 1 ერთეული დაუჯავშნავი ავტომანქანა, ასევე ოპერატიული რეაგირების ჯგუფებისათვის - 5 ერთეული მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანა;
- დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული გარემონტებული შენობები და მოწყობილი სანიტარული კვანძები, აშენებული პოლიციის ახალი ადმინისტრაციული შენობა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი -ცენტრალური სამეთვალყურეო პულტის გამართული, ლიცენზირებული, უვადო პროგრამული უზრუნველყოფა (AES და SIS პროგრამული მომსახურება). ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის და ქ. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების თანამედროვე დაცვით-საგანგაშო და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემებით აღჭურვა;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ბოლო ვერსიამდე განახლებული დაცვის სიგნალების მონიტორინგის, SIS პროგრამა, SMS შეტყობინებების დაგზავნის გაუმჯობესებული სერვისი, გაუმჯობესებული სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურა და AES და SIS პროგრამული მომსახურება; ქ. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ტექ. გადაიარაღება, მათ შორის პერიმეტრის

დაცვის სისტემების დანერგვა. დასავლეთ საქართველოს აღჭურვა ციფრული რ/სისტემებით.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - სრულად განახლებული დაცვის სიგნალის გადაცემისა და მიღების სისტემა, რეგიონალურ დანაყოფებში განახლებული სიგნალების მართვის პროგრამული უზრუნველყოფა, დაცვის ქვეშ მყოფი აბონენტებისთვის SMS შეტყობინებების გაუმჯობესებული, მყისიერი დაგზავნის სერვისი, გადაიარაღებული ქსელური ინფრასტრუქტურა (კომპიუტერული ტექნიკა, საჰაერო ქსელური მოწყობილობა, სერვერები)

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - მუდმივად საჭიროა ოპერატიული რეაგირების, დაცვა-გაცილებისა, ინკასაციის სისტემის გამართული მუშაობისთვის ავტომანქანების ჩანაცვლება-შეძენა;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ავტოპარკის 25 %-იანი განახლება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - შეძენილი ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა-ინკასირებისათვის 11 ერთეული დაჯავშნილი და 1 ერთეული დაუჯავშნავი ავტომანქანა, ასევე ოპერატიული რეაგირების ჯგუფებისათვის - 5 ერთეული მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანა;

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-მოწყობა;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - გარემონტებული ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული, კეთილმოწყობილი ეზო, ინკასირების და დაცვა-გაცილების სამმართველოებისთვის აშენებული და გერემონტებული შენობები, საელჩოებისა და საკონსულოების ობიექტებისთვის შეძენილი და გარემონტებული ჯიხურების რაოდენობა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - გარემონტებული დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულის ნაწილის სამუშაო ოთახები და სანიტარული კვანძები, დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ქობულეთის შენობა; აშენებული მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის მცხეთის რ-ნ, სოფ. ლისში პოლიციის განყოფილების ახალი ადმინისტრაციული შენობა; დასაცავი ობიექტებისათვის გარემონტებელი 134 ერთეული დაცვის ჯიხური.

1.3 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა - (30 05)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - საქართველოს შსს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 05	სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა	310	682.9	658.7	96.4%	

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

სახელმწიფო რეზერვების მატერიალურ ფასეულობათა ოპერაციების წარმოების ფარგლებში მიმდინარეობდა მუშაობა უიმედო დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დადგენილი წესით ბალანსიდან მოხსნისა და ჩამოწერის თაობაზე;

საანგანრიშო პერიოდში მიმდინარეობდა გეგმიური და საკონტროლო შემოწმებების მოსამზადებელი სამუშაოები სახელმწიფო რეზერვში რიცხული იმ მატერიალური ფასეულობებისა, რომლებიც ჩაწყობილია სხვადასხვა ორგანიზაციებსა და უწყებებში;

დასრულდა ქ. მცხეთაში მდებარე ბაზის სასაწყობე მეურნეობისა და საოფისე ნაწილის სარემონტო სამუშაოები;

მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო რეზერვში ჩასაწყობი მატერიალური ფასეულობების ახალი ნომენკლატურის შესამუშავებლად;

გაგრძელდა მუშაობა ნორმატიული დოკუმენტების ევროსტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;

შემუშავებულია „სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტი.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- ქვეყნის სამობილიზაციო მზადყოფნა საომარი მოქმედებების, სტიქიური უბედურებების, ეკონომიკური ბლოკადის, შესაძლო მიწისძვრების, ტექნოგენური კატასტროფების და სხვა მოულოდნელად წარმოქმნილი ექსტრემალური სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის უზრუნველსაყოფად, ჰუმანიტარული დახმარების გასაწევად, შიდა ბაზარზე მარეგულირებელი ზემოქმედებისათვის, საწარმოების და ორგანიზაციების ნედლეულით, სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით, მოსახლეობის სურსათის ძირითადი სახეობებით მომარაგებაში დროებით შეფერხებებისას სახელმწიფო მხარდაჭერისთვის;
- მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა საგანგებო და კრიზისულ სიტუაციებში.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- განხორციელდა სახელმწიფო რეზერვში რიცხული მატერიალური ფასეულობების მოვლა-შენახვა და აღრიცხვა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით;
- მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო რეზერვში ჩასაწყობ მატერიალურ ფასეულობათა ახალი ნომენკლატურის შემუშავებაზე.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სწორად მართვისთვის აუცილებელია შესაბამისი ოპერაციების წარმოება, კონტროლი და მათი დაცულობის უზრუნველყოფა.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სახელმწიფო მატერიალური რეზერვების წარმოებული ოპერაციები, მათი კონტროლი მართვა და დაცულობის უზრუნველყოფა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - მუდმივად მიმდინარეობდა ჩაწყობილი მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა/მონიტორინგი.

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - ნებისმიერ სამინისტროში, თუ სარეზერვო ბაზებში ჩაწყობილი მატერიალური ფასეულობების შენახვის პირობების დაცვის, მათი ვარგისიანობის, რაოდენობრივი და ხარისხობრივი უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა სისტემატური კონტროლის განხორციელება, რომ ადგილი არ ჰქონდეს ფასეულობების თვითნებურ ხარჯვას ან გაუვარგისებას;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სამინისტროში, თუ სარეზერვო ბაზებში ჩაწყობილი მატერიალური ფასეულობების შენახვის პირობების დაცვის, მათი ვარგისიანობის, რაოდენობრივი და ხარისხობრივი უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელებული სიტემატური კონტროლი

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - მუდმივად მიმდინარეობდა ჩაწყობილი მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა/მონიტორინგი.

1.4 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება - (30 06)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 06	<u>სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება</u>	58 100,00	61 851,79	61 345,70	99,2%	169,77

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობდა საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების თანამშრომელთა კონსულტაციები საგანგებო მართვის გეგმების დანერგვის უზრუნველყოფის საკითხებზე;

შეძენილია მაშველების ყოველდღიური უნიფორმა, სამაშველო აღჭურვილობა და წყალში ყვინთვისთვის საჭირო აღჭურვილობა;

საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობდა სააგენტოს ინფრასტრუქტურის მშენებლობა/ რეაბილიტაცია

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საქართველოს მასშტაბით წარმოქმნილი ტყის ხანძრების სალიკვიდაციო სამუშაოები.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- ქვეყანაში გაუმჯობესებული სამოქალაქო უსაფრთხოების დონე;
- სააგენტოს პირადი შემადგენლობის და რეაგირების ძალების, ასევე მოსახლეობის საგანგებო სიტუაციებზე და ინციდენტებზე მზადყოფნის და რეაგირების ეფექტურობის გაზრდილი მაჩვენებელი;
- ქვეყანაში მართვის ყველა დონეზე, თანამედროვე სტანდარტების საგანგებო და რისკის მართვის შემუშავებული გეგმები, აგრეთვე მათი სრულყოფისა და განვითარების მიზნით დანერგილი სიმულაციური ვარჯიშები და ზედამხედველობის ეფექტური მექანიზმები;
- ობიექტების უზრუნველყოფა სახანძრო უსაფრთხოების სისტემით, რომელიც მიმართული იქნება ხანძარ საშიში ფაქტორების, მათ შორის, მათი როგორც მეორადი გამოვლინების თავიდან ასაცილებლად.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- ქვეყანაში სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლების მიზნით, დაიხვეწა და განვითარდა საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემა;
- საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების თანამშრომელთა კონსულტაციები საგანგებო მართვის გეგმების დანერგვის უზრუნველყოფის საკითხებზე, ასევე შიდაუწყებრივი და საუწყებათაშორისო საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალებისათვის და მოსახლეობისათვის ჩატარდა 6 ორგანიზებული სწავლება და ტერნინგი;
- შემუშავებულია საქართველოს მთავრობის დადაგენილების პროექტი „საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის შესახებ";
- 7%-ით გაუმჯობესდა სახანძრო სამაშველო ინფრასტრუქტურა;
- 42% განახლდა მეხანძრე-მაშველთა მატერიალურ ტექნიკური ბაზა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - ქვეყანაში სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლებისთვის საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – მოსახლეობისა და რეაგირების ძალების, ასევე სააგენტოს პირადი შემადგენლობის საგანგებო სიტუაციებზე და ინციდენტებზე მზადყოფნა და რეაგირების ეფექტურობა

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - შემუშავებული საქართველოს მთავრობის დადაგენილების პროექტი „საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის შესახებ".

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სამოქალაქო უსაფრთხოების ამოცანების გადასაწყვეტად სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის განხორციელების კოორდინირება.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით, როგორც შიდაუწყებრივი, ასევე საუწყებათაშორისო საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალებისათვის და მოსახლეობისათვის ორგანიზებული სწავლებებისა და ტრენინგების რაოდენობა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობდა საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების თანამშრომელთა კონსულტაციები საგანგებო მართვის გეგმების დანერგვის უზრუნველყოფის საკითხებზე;

საერთაშორისო ორგანიზაციის „გადავარჩინოთ ბავშვების" მხარდაჭერით ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების ოპერაციების გენერალური დირექტორატის საზოგადოების და ინსტიტუციების მდგრადობის გაუმჯობესება სამხრეთ კავკასიაში (DIPECHO-4)" - პროექტის მეოთხე ეტაპის ფარგლებში, განხორციელდა აღმასრულებელი ორგანოების საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში უფლებამოსილი პირების საგანგებო სიტუაციების მართვისა და რისკის შემცირების თემატიკაზე მომზადება;

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ფართომასშტაბიანი საგანგებო სიტუაციების მართვის სამხედრო-სამოქალაქო სამაგიდო სწავლება ,,კოლხიდა 2017''. (აშშ-ს შეიარაღებული ძალების საინჟინრო კორპუსის; აშშ-ს საელჩო საქართველოში; აშშ-ს სამხედრო სარდლობა ევროპაში და საქართველოს თავადაცვის სამინისტროს მონაწილეობით);

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს, განსაკუთრებულ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამმართველოში ჩატარდა სამაგიდო სწავლების ელექტრონული სიმულაციური ვარჯიში;

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლებმა თბილისის N23-ე ბაგა-ბაღში სიმულაციური სწავლება ჩაატარეს. სააგენტოს თანამშრომლებმა აღსაზრდელებსა და მასწავლებლებს სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა გაუზიარეს. სწავლება არასამთავრობო ორგანიზაცია ASB-ის მიერ, პროექტის – „ჩვენ მზად ვართ! განათლება უსაფრთხოებისთვის, კატასტროფების რისკის შემცირება ინკლუზიური მიდგომით" ფარგლებში დაიგეგმა;

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლებმა ბათუმის N2 საჯარო სკოლაში სიმულაციური სწავლება ჩაატარეს. სააგენტოს თანამშრომლებმა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა გაუზიარეს.

2017 წლის 15 ივნისს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლების მონაწილეობით, არასამთავრობო ორგანიზაცია ASB-ის მიერ, ჩატარდა შშმ ბავშვთა დღის ცენტრ „აისი"-ში სიმულაციური სწავლება.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - საქართველოს კანონით „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" გათვალისწინებული კანონქვემდებარე აქტების შემუშავება და მიღება.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სახანძრო უსაფრთხოების სფეროში განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკა და შემუშავებული სახელმწიფო ზომები - რეალიზება, ხანძრის პროფილაქტიკისა და დასახლებების, ორგანიზაცია - დაწესებულებების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემის ამაღლებული ეფექტურობა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - შემუშავდა და გამოიცა საქართველოს მთავრობის 7 დადგენილება, კერძოდ:

- „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილება;
- „საქართველოში სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N371 დადგენილება;
- „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილება;
- „სახანძრო დაცვის დანაყოფების შენობა-ნაგებობების დაპროექტების ნორმების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N119 დადგენილება;
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის– საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სამუშაოების შესრულების და მომსახურების გაწევის სახეებისა და საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 მარტის N138 დადგენილება;
- „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის N452 დადგენილება;
- „საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის N453 დადგენილება;

შემუშავდა და გამოიცა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 6 ბრძანება, კერძოდ:

➢ „ხანძრის და მისი შედეგების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 1 სექტემბრის N636 ბრძანება;

➢ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის N1061 ბრძანება

4. დაგეგმილი სამაზისო მაჩვენებელი - არსებული შენობების რეაბილიტაცია და საჭიროების შემთხვევაში ახლის აშენება

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - განახლებული და აშენებული შენობების რაოდენობა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - განხორციელებული ქ. ოზურგეთის სახანძრო-სამაშველო ობიექტის სარეაბილიტაციო სამუშაოები; აშენებული ქ. რუსთავის სახანძრო-სამაშველო ობიექტი; ქ. ბათუმის სახანძრო-სამაშველო ობიექტის სარეაბილიტაციო სამუშაოები. მიმდინარე სარემონტო სამუშაოები ჩაუტრადა: ქ. ზუგდიდის სახანძრო-სამაშველო ობიექტები - 1 ერთეული; ქ. ქუთაისის სახანძრო-სამაშველო ობიექტები - 1 ერთეული; თბილისის სახანძრო-სამაშველო ობიექტები - 4 ერთეული; ცენტრალური ადმინისტრაციის კორპუსი;

5. დაგეგმილი სამაზისო მაჩვენებელი - საგანგებო სიტუაციების მათვის დეპარტამენტის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროა მომველებული ავტოპარკის განახლება.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - განახლებული სპეცტექნიკის რაოდენობა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - ვერ განხორციელდა სახანძრო-სამაშველო სპეციალური ავტოტრანსპორტის განახლება/მოდერნიზაცია.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ცდომილების მაჩვენებელი 100%. გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში ვერ განხორციელდა ავტოპარკის განახლება.

6. დაგეგმილი სამაზისო მაჩვენებელი - სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობისა და ტექნიკური ბაზის სრულყოფა და შემდგომი განვითარება.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - თანამედროვე სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობა და ტექნიკური ბაზა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობისა და ტექნიკური ბაზის სრულყოფის მიზნით შეძენილი იქნა: მყვინთაქვის აღჭურვილობის 4 კომპლექტი; 575 ერთეული სხვადასხვა ზომის სახანძრო სახელო; 50 ერთეული სხვადასხვა ზომის სახანძრო გადამყვანი; 15 ერთეული სამკაპი; 60 ერთეული გამაფრქვეველი ლულა; 15 ერთეული ჰიდრანტის სვეტი; 10 ერთეული დიელექტრიკული საჭრელი; 42 ერთეული შემწოვი ბადე; 10 ერთეული ლაფეტის გადასატანი; 14 ერთეული შემწოვი სახელოს გადასაჭერი ქანჩი; 100 ერთეული მაიზოლირებელი შეკუმშული ჰაერის აპარატი; 12 ერთეული რეგენერაციული მაიზოლირებელი სასუნთქი (რესპირატორი); 56 ერთეული სამმუხლა კიბე; 10 ერთეული წყლის საქაჩი ტუმბო; 2 ერთეული ჰიდრავლიკურები, 220 ერთეული სხვადასხვა ტიპის ხერხი და 5 ერთეული პრეფერატორი.

1.5 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა - (30 07)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 07	სსიპ- საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა					78 444,6

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

სააგენტოს მიერ მიწოდებული სერვისების მუდმივ რეჟიმში დახვეწა და სააგენტოს მიმართ ნდობის ხარისხი ამაღლება; სააგენტოს მიერ უფრო მეტად სწრაფი, მოქნილი და თითოეული მოქალაქის ინტერესზე მორგებული მომსახურების უზრუნველყოფა.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- საქართველოს 12 რეგიონის ნაწილობრივ და 5 რეგიონის სრულად დაფარვა;
- განახლებული ავტოპარკი, შეუფერხებლად ჩატარებული გამოცდების რაოდენობა;
- ყოველდღიურად გამართული მომსახურების პროცესი;
- ოფიციალური ლიცენზიების გამოყენება და დახმარება პროდუქტის მწარმოებლისგან;
- უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა. მიღებული მოქნილი და განვითარებადი პროდუქტი, დამატებული ახალი მომსახურებები;
- ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების ხარჯზე ინფორმაცია იქნება მეტად დაცული უკანონო შეღწევებისგან და მინიმუმამდე შემცირებული ინფორმაციის დაკარგვის ალბათობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- რეგიონებში მართვის მოწმობის გაცემის შესაძლებლობების გაუმჯობესება;
- შეძენილი სატრანსპორტო საშუალებები;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - საგზაო უსაფრთხოების დონის ამაღლებისა და ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2006 წლის 20 დეკემბრის დირექტივის შესრულების მიზნით, მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის დამატებით ქალაქის ქუჩებში ჩატარება.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - შეძენილი 92 სატრანსპორტო საშუალება. საქართველოს 12 რეგიონიდან 7 რეგიონში მხლოდ "B" კატეგორიის მართვის მოწმობის გაცემის შესაძლებლობა ხოლო 5 რეგიონში ყველა კატეგორიის მართვის მოწმობის გაცემის შესაძლებლობა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - მომზადებული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის ავტოდრომის ან დახურული მოედნის გარეთ ქალაქის მასშტაბით ჩატარებისთვის საჭირო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტში შესატანი შესაბამისი ცვლილებების პროექტი. სადაც გათვალისწინებულია ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 20 დეკემბრის მართვის მოწმობების შესახებ დირექტივის მოთხოვნები, რომელიც გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის მისაღები პრაქტიკული გამოცდების ჩაბარების წესის ცვლილებას. პრაქტიკული გამოცდის გარეთ, ქალაქის პირობებში ჩატარების მიზნით, შეძენილი 70 ავტომანქანა შესაბამისი აღჭურვილობით (კამერებით), საქართველოს 12 რეგიონიდან 8 რეგიონში მხოლოდ "B" კატეგორიის მართვის მოწმობის გაცემის შესაძლებლობა ხოლო 2 რეგიონში ყველა კატეგორიის მართვის მოწმობის გაცემის შესაძლებლობა.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვა - ცდომილება 24%. ქალაქის მაშტაბით სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის 2018 წლის მეორე ნახევარში გადაწევიდან გამომდინარე არ მოხდა ყველა სხვა ("B" კატეგორიის გარდა) კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვა. ქალაქის მაშტაბით სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის ჩატარება - ცდომილება 100%. ვერ მოესწრო სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის ავტოდრომის ან დახურული მოედნის გარეთ ქალაქის მასშტაბით ჩატარებისთვის საჭირო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. ასევე ვერ მოესწრო მუნიციპალიტეტების მიერ პრაქტიკული გამოცდისათვის საჭირო შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - გამოცდის მიმდინარეობის პროცესში ავტომანქანების მწყობრიდან ხშირი გამოსვლა.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - შეძენილი 45 ახალი საგამოცდო ავტომანქანა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი -შეძენილი 15 ახალი საგამოცდო ავტომანქანა.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ცდომილება 66.6%, სამინისტროს მიერ მისი პრიორიტეტების გადახედვის შემდგომ მიზანშეწონილად აღარ იქნა მიჩნეული დამატებით ა/მანქანების შეძენა.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - დღეის მდგომარეობით ამბროლაურში არ ხდება მოსახლეობისთვის საგენტოს სერვისების მიწოდება შენობის არარსებობის გამო.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ქ. ამბროლაურში აშენებული ახალი შენობა და მოწყობილი საგამოცდო მოედანი შესაბამისად სრული მომსახურების გაწევის შესაძლებლობა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საანგარიშო პერიოდში ვერ განხორციელდა ქ. ამბროლაურში ახალი შენონის მშენებლობა და ასევე საგამოცდო მოედნის მოწყობა.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ცდომილება 100%, სამინისტროს მიერ მისი პრიორიტეტების გადახედვის შემდგომ მიზანშეწონილად აღარ იქნა მიჩნეული ქ. ამბროლაურში შენობის მშენებლობა და საგამოცდო მოედნის მოყობა

1.6 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება - (30 08)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - 112

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 08	<u>საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება</u>					12 719

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა საგანგებო სიტუაციების და გადაუდებელი აუცილებლობის შესახებ შეტყობინებები, რომლებიც დამუშავებულ იქნა შესაბამისი მომიჯნავე სამსახურების მიერ, და გაწეულ იქნა კოორდინირებული მუშაობა 112-ის კომპეტენციის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში მოქალაქეთათვის გაწეულ იქნა შესაბამისი აუცილებელი პირველადი კონსულტაციები.

საანგარიშო პერიოდში (დადებული ხელშეკრულების შესაბამისად) განხორციელდა, ევაკუატორებით მომსახურეობის სერვისი, როგორც საპატრულო პოლიციისთვის ასევე სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის.

2016 წელს დაიწყო და საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობს სსიპ - 112 ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა.

საანგარიშო პერიოდში დაინერგა შემოსული შეტყობინებების სტატისტიკური ანალიზის პროგრამა განისაზღვრა სამუშაო პროცესის მარგი ქმედების კოეფიციენტები (KPI - key Performance Indicators). სტატისტიკის აღმრიცხველ ერთიან პროგრამაში, მუდმივად მიმდინარეობს მონაცემების მონიტორინგი და მიღებული შედეგების გათვალისწინებით, სამუშაო პროცესის პერიოდული ოპტიმიზაცია.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- 112-ის გაზრდილი ხელმისაწვდომობა და მომართვიანობა დაკავშირების ალტერნატიული არხების მეშვეობით;

მიღწეული საბოლოო შედეგები

- მობილური აპლიკაცია დანერგილია ნაწილობრივ;
- განხორციელდა ტესტირების შედეგად დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრა და ფუნქციონალის გაუმჯობესება.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - გაზრდილი მიმართვიანობის ფონზე საჭიროა ახალი ალტერნატიული არხის არსებობა რათა, კიდევ უფრო მეტ ბენეფიციარს გაეწიოს დროულად და შეუფერხებლად საჭირო დახმარება;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - მობილური აპლიკაციითა და eCall-ის მეშვეობით 112 ოპერატორთან დაკავშირების შესაძლებლობა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - ნაწილობრივ დაინერგა მობილური აპლიკაცია. მიმდინარეობდა ტესტირების შედეგად დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრა და ფუნქციონალის დახვეწა. პროდუქტის ჩაშვება მოხდება 2018 წელს.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ცდომილების ალბათო 5%, პროექტი სრულად განხორციელდა და ფუნქციონირებს თუმცა ვერ განხორციელედა მოსახლეობის ზუსტი ინფორმირება რაც უარყოფიდა აისახა მომხმარებელთა რაოდენობაზე.

2. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: <u>განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება</u>

2.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სამართალდამცავი სრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება - (30 03)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 03	<u>სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება,გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია</u>	6 170	6 397.1	6 291.4	98,34%	594.5

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

საგანრიშო პერიოდში განხორციელდა სპეციალური პროფესიული პროგრამების ბაზაზე სამინისტროში მისაღები და მოქმედი თანამშრომლების მომზადება/გადამზადება;

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა სწავლებები როგორც საბაკალავრო ასევე სამაგისტრო პროგრამების „საპოლიციო რეგულირების სამართალი"-სა და „პოლიციის მაგისტრის" ფარგლებში;

განხორციელდა საარქივო მასალის დამუშავება და სკანირება, ფონდების დეტალური აღწერილობის მონაცემთა ბაზაში შეყვანა, საარქივო მასალების რესტავრაცია.

დისტანციური სწავლების დანერგვის და გაუმჯობესების მიზნით ქვეყნის მასშტაბით 10 სხვადასხვა რეგიონში მომზადდა სასწავლო გარემო. შესაბამის ცენტრებს გადაეცათ სწავლებისათვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკა და ინვენტარი.

საბაკალავრო სწავლების სრულყოფისა და განვითარებისთვის შეძენილ იქნა სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის სამართლის სკოლის სტუდენტური ბაზების მართვის ელექტრონული სისტემის პაკეტი.

საანგარიშო პერიოდში ინსტრუქტორებს ჩაუტარდათ „ტრენერთა ტრენინგი (TOT)". ტრენინგი ჩატარდა 3 ეტაპად, მონაწილეობა მიიღო 24 ინსტრუქტორმა;

შემუშავდა ანალიტიკოსთა მომზადების სასწავლო კურსი, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლების ტრენინგის კურსი, მესაზღვრე ოფიცერთა ტრენინგის კურსი.

საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების თანამშრომლებმა გაიარეს შესაბამისი გადამზადება /მომზადების კურსები და პროგრამები:

- სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

- დეტექტივ-გამომძიებლის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი;
- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პოლიციაში სამუშაოდ მისაღები და სამუშაოზე მიღებული წვევამდელების სპეციალური მომზადებისა და პოლიციის უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდების მისანიჭებელი სპეციალური მომზადების პროგრამა;
- კიბერდანაშაულის და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და ციფრული მტკიცებულებების მოპოვება-დამუშავების სასწავლო კურსი და სხვა.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- პოლიციელის კარიერული წინსვლისთვის შემუშავებული თანმიმდევრული სისტემა;
- პოლიციის მუშაობის მკვეთრად გაზრდილი ეფექტიანობა;
- საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია;
- პოლიციელის პროფესიის პოპულარიზაცია;
- შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის მომზადებული და გადამზადებული პროფესიონალი და მაღალკვალიფიციური კადრები;
- უცხოურ ენაზე ოპერირებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების მქონე კადრებით დაკომპლექტებული სისტემა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- შემუშავდა ანალიტიკოსთა მომზადების სასწავლო კურსი, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლების ტრენინგის კურსი, მესაზღვრე ოფიცერთა ტრენინგის კურსი;
- საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების თანამშრომლებმა გაიარეს შესაბამისი გადამზადება /მომზადების კურსები და პროგრამები: სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, დეტექტივ-გამომძიებლის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი, პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, პოლიციაში სამუშაოდ მისაღები და სამუშაოზე მიღებული წვევამდელების სპეციალური მომზადებისა და პოლიციის უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდების მისანიჭებელი სპეციალური მომზადების პროგრამა,კიბერდანაშაულის და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და ციფრული მტკიცებულებების მოპოვება-დამუშავების სასწავლო კურსი.
- 24 ინტრუქტორს ჩაუტარდა „ტრენერთა ტრენინგი (TOT)".

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - ამჟამად აკადემიაში სწავლობს 110 ბაკალავრი და 45 მაგისტრანტი; არსებობს სტუდენტური საინფორმაციო სისტემა, რომლითაც სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ კომპიუტერის საშუალებით; გამოცდები ტარდება მატერიალური სახით - ქაღალდზე დაბეჭდილი საგამოცდო საკითხებით;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი –სტუდენტთა რაოდენობა 316 (მ. შ 260 ბაკალავრი და 56 მაგისტრი), დანერგილი სტუდენტური საინფორმაციო სისტემის მობილური აპლიკაცია, სპეციალური ელექტრონული სისტემით ჩატარებული გამოცდები.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - სტუდენთა რაოდენობა 319 (მ.შ. 310 ბაკალავრი, 48 მაგისტრანტი), დანერგილია სტუდენტური საინფორმაციო სისტემის მობილური აპლიკაცია და სპეციალური ელექტრონული სისტემა გამოცდებისთვის.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ცდომილება 14% ყველა მსურველთა მიერ ვერ მოხდა მაგისტრანტობისთვის შესაბამისი გამოცდების წარმატებით ჩაბარება

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - არსებული მდგომარეობით სპეციალური პროფესიული სწავლების ადმინისტრირებისთვის აკადემიაში შექმნილი და დანერგილია პროფესიული სწავლების ელექტრონული სისტემა, რომელიც ასევე მოიცავს ელექტრონული სალექციო ცხრილების პროგრამას. შემუშავდა 3 პროგრამა ელ. სისტემის განვითარების კუთხით (1. მსმენელთა ელ.გვერდი; 2. მსმენელთა ელ.ანკეტების პროგრამა; 3. კვებით უზრუნველყოფის პროგრამა; 4. მსმენელთა ელ.გვერდის მობილური აპლიკაცია); შსს აკადემიაში მიმდინარეობდა ახალი კურსების შემუშავება, როგორიცაა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობის დამყარების სტანდარტები, თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი და სხვა. მუდმივად ხორციელდებოდა შემუშავებული პროგრამების განახლება; მიმდინარეობდა დისტანციური სწავლებისთვის სისტემის აწყობა; მიმდინარეობდა შსს-ს აკადემიის სტუდენტთა ტესტირების სისტემა „Questionnaire" განახლება.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - განვითარებული სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა სპეციალური პროფესიული პროგრამების ნაწილში. შემუშავებული კვებით უზრუნველყოფის პროგრამა; მსმენელთა ელ.გვერდის მობილური აპლიკაციის სისტემა; შემუშავებული ახალი სასწავლო პროგრამები/კურსები; დანერგილი დისტანციური სწავლების მეთოდი; შსს-ს აკადემიის სტუდენტთა ტესტირების ახალი სისტემა „Questionnaire".

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - შეძენილია სტუდენტური ბაზების მართვის ელექტრონული სისტემის პაკეტი. განახლდა სტუდენტთა ტესტირების სისტემა „Questionnaire". შემუშავდა მსმენელთა ელ.გვერდის მობილური აპლიკაციის სისტემა.*3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი* - აუდიტორიებში ტექნიკური აღჭურვილობა (პროექტორები და სპიკერები) მოძველებულია; Frontex-ის პროგრამა საჭიროებს ადაპტირებას დონეების მიხედვით; შესამუშავებელი და მოსამიებელია დისტანციური სწავლების ზოგადი ინგლისური ენის კურსის შესადგენი მასალები; გამოსაცდელია თანამედროვე სწავლების პროგრამის - Rosetta Stone-ის ეფექტიანობა; ინგლისური ენის პედაგოგებს ესაჭიროებათ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრეინინგები; აკადემიაში შემუშავებულია დისტანციური სწავლების ელ. პროგრამა და შესაბამისი სასწავლო პროგრამების შემუშავებისთვის საჭიროა შესაბამისი გამოცდილებისა და ცოდნის დაგროვება;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ქართული ენის სწავლის მსურველებისათვის შედგენილი სპეციალური პროგრამა; თანამედროვე სასწავლო პროგრამაში (Rosetta Stone) მონაწილე თანამშრომლებისთვის პროგრესის მონიტორინგისთვის შემუშავებული აუცილებელი შეფასების სქემა; მასწავლებელთა უნარების გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ტრეინინგ პროგრამებში მონაწილეობა; შემუშავებული დისტანციური სწავლების ზოგადი ინგლისურის კურსის პირველი ორი საფეხური (Starter/ Elementary); მესაზღვრეებისათვის დონის შესაბამისად ადაპტირებული Frontex-ის შემუშავებული

პროგრამა; დისტანციური სწავლების დანერგვის მიზნით პედაგოგებისთვის შესაბამისი ტრენინგების ჩატარება

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - ქართული ენის სწავლის მსურველებისათვის შედგა სპეციალური პროგრამა. დისტანციური სწავლების დანერგვის და გაუმჯობესების მიზნით ქვეყნის მასშტაბით 10 სხვადასხვა რეგიონში მომზადდა სასწავლო გარემო. შესაბამის ცენტრებს გადაეცათ სწავლებისათვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკა და ინვენტარი.

4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საჭიროებს მუდმივ განახლებას რათა პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებს.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; აკადემიაში არსებული კომპიუტერული ქსელის უსაფრთხოების და ფილტრაციის მიზნით შეძენილი მოწყობილობები; მსმენელების სწავლება ელექტრონული წიგნების მეშვეობით.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - უცხო ენის ცენტრში წავლება მიმდინარეობს ელექტრონული წიგნების მეშვეობით; აკადემიაში არსებული კომპიუტერული ქსელის უსაფრთხოების და ფილტრაციის მიზნით შეძენილია ე.წ. სვიჩები. შეძენილი: ინტერაქტიული პანელი-1 ცალი; ელექტრონული ტაბლო-1 ცალი; ქსელის გამანაწილებელი-10 ცალი; მაგიდა-180 ცალი; სკამი-260 ცალი; სავარძელი- 18 ცალი; უწყვეტი კვების წყარო-75 ცალი; ვებ კამერა - 30 ცალი; პრინტერი-12 ცალი.

3. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: <u>ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</u>

3.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურეობით უზრუნველყოფა - (30 04)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 04	<u>შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურეობით უზრუნველყოფა</u>	3 650,00	5 179,32	5 168,51	99,8%	55,7

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაჭრილი ან/და დაზიანებული მოსამსახურეების მკურნალობა და მათი ჯანმრთელობის რეაბილიტაციისთვის საჭირო ღონისძიებები, აგრეთვე სამინისტროს მოსამსახურეთა, თადარიგში დათხოვნილ პირთა მათი ოჯახების წევრთა და სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების მსმენელთა სამედიცინო მომსახურება;

ავადობისა და შრომისუუნარობის შემცირების მიზნით განხორციელდა ბენეფიციართა (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა) დისპანსერიზაცია, სამკურნალწამლო საშუალებებით უზრუნველყოფა, სტაციონალური მკურნალობა, ავადობის მიზეზების შესწავლა, დაჭრილთა სამედიცინო რეაბილიტაცია, პენსიონერთა და უნარშეზღუდულთა სამედიცინო შემოწმება;

საანგარიშო პერიოდში დადგენილი წესით ჩატარებულ იქნა სამხედრო-საექიმო კომისიები;

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- თანამშრომელთა შენარჩუნებული ჯანმრთელობის მდგომარეობა და ფიზიკური განვითარება;
- ავადობისა და შრომისუუნარობის შემცირებული რაოდენობა;
- სამედიცინო ქვედანაყოფების უზრუნველყოფილი მაღალი საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნა;
- საჭიროების შემთხვევაში დაჭრილთათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ევაკუაციის ორგანიზების დროს, სანიტარული დანაკარგის შემცირებული მაჩვენებელი.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- პაციენტთა 100% უზრუნველყოფილი იქნა შესაბამისი მკურნალობითა და სამკურნალწამლო საშუალებებით;
- უზრუნველყოფილი იქნა მაღალი საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნა;
- სამსახურებრივი მოვალეების შესრულების დროს მიყენებული ჯანმრთელობის დაზიანების ყველა შემთხვევებში აღმოჩენილი იქნა სათანადო სამედიცინო დახმარება.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - რთული რელიეფის პირობებში დაჭრილთათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ევაკუაციის ორგანიზების მიზნით ან სხვა გადაუდებელ შემთხვევებში არსებული ავტოპარკი ვერ უზრუნველყოფს სათანადო მომსახურებას;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - შეძენილი მაღალი გამავლობის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომანქანა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი -ვერ იქნა შეძენილი მაღალი გამავლობის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომანქანა

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ცდომილების ალბათობა 100%. წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა შესაბამისი თანხების მობილიზება.

ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორი

დანართი №3

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

მბარჯავი დაწესებულება

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	დაზუსტებული გეგმის შეფარდება დამტკიცებულ გეგმასთან (%) (4/3)	საკასო შესრულების შეფარდება დაზუსტებულ გეგმასთან (%) (5/4)	განმარტება იმ პროგრამულ კოდებზე, რომელთა დამტკიცებულ და დაზუსტებულ მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა აღემატება 30%	განმარტება იმ პროგრამულ კოდებზე, რომელთა დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა აღემატება 15%
1	2	3	4	5	6	7	8	9
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	585 000,0	606 772,7	605 027,1	103,7%	99,7%		
30 01	პროგრამა: საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაერთიანება/გაღრმავება	506 610,00	523 049,99	522 081,58	103,2%	99,8%		
30 02	პროგრამა: ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება	10 160,00	9 611,57	9 481,22	94,6%	98,6%		
30 03	პროგრამა: სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება	6 170,00	6 397,13	6 291,40	103,7%	98,3%		
30 04	პროგრამა: შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურეობით უზრუნველყოფა	3 650,00	5 179,32	5 168,51	141,9%	99,8%	აღნიშნული შეუსაბამობა განპირობებულია თანამშრომელთა საზღვარგარეთ გადაუდებელი მკურნალობის ხარჯების დაფინანსებით.	
30 05	პროგრამა: სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა	310,00	682,90	658,75	220,3%	96,5%		
30 06	პროგრამა: სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება	58 100,00	61 851,79	61 345,70	106,5%	99,2%		